ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 452

"13" სექტემბერი 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, გია გულუას ქუჩაზე არსებული 658 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.18.05.001.111) 32 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „არქი ჰოთელსისთვის" (ს/ნ. 405076563) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, გია გულუას ქუჩაზე არსებული 658 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.18.05.001.111) 32 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „არქი ჰოთელსისთვის" (ს/ნ. 405076563) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 4 სექტემბრის №24.1492.1690 განკარგულების დანართი №1-ით განსაზღვრული სიტუაციური ნახაზის შესაბამისად, უძრავი ქონების - ქალაქ თბილისში, გია გულუას ქუჩაზე არსებული 658 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.18.05.001.111) 32 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „არქი ჰოთელსისთვის" (საიდენტიფიკაციო №405076563) გადაცემაზე, კიბის და პანდუსის განთავსების მიზნით.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 4608 (ოთხი ათას ექვსას რვა) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე